საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №144/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 14 აგვისტოს №144 და 2019 წლის 16 სექტემბრის №162 საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინური საქმეები №144/19 და №162/19 მოსამართლე -- მიმართ გაერთიანდა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №144/19.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2019 წლის 17 ივლისს -- სააპელაციო სასამართლომ განიხილა -- -- კერძო საჩივარი, -- საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების (სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ) ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მიუხედავად იმისა, რომ განჩინების მხარეებისათვის ჩაბარების კანონით გათვალისწინებული ვადა გავიდა, საჩივრის ავტორს განჩინება არ მიუღია. ასევე, საქმე -- სასამართლოდან პირველი ინსტანციის სასამართლოში არ არის გადაგზავნილი. მოსამართლემ დაარღვია თავისი ვალდებულება და ამით ზიანი მიაყენა მხარეების ფინანსურ ინტერესებს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 9 ოქტომბერს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს -- -- მიმართ და მოპასუხისათვის -- ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა. ასევე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სარჩელის ავტორმა მოპასუხის ყველა ანგარიშზე ყადაღის დადება მოითხოვა.

2019 წლის 13 მარტის განჩინებით სამოქალაქო საქმე -- -- მიმართ დარჩა განუხილველი. მოსამართლის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სარჩელის ავტორი ვალდებული იყო სასამართლოში წარედგინა სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი სასამართლო გზავნილის მისთვის გადაცემიდან 2 თვის მანძილზე.

მოსარჩელეს სასამართლოში სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი ჰქონდა 2018 წლის 14 დეკემბერს, კანონით გათვალისწინებული 2 თვიანი ვადის დარღვევით.

2.2. 2019 წლის 30 აპრილს -- -- წარმომადგენელმა კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს და 2019 წლის 13 მარტის განჩინების გაუქმება მოითხოვა. 2019 წლის 15 მაისს საქმე განსახილველად -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს, -- -- გადაეცა.

2019 წლის 23 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძო საჩივარს არ ჰქონდა დართული მხარის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, 2019 წლის 17 ივლისს, -- -- უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2.3. 2019 წლის 8 აგვისტოს -- -- განცხადებით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს და 2019 წლის 17 ივლისის განჩინების მისთვის ჩაბარება მოითხოვა. მხარეს აღნიშნული განჩინების ასლი გაეგზავნა 2019 წლის 14 აგვისტოს და ჩაბარდა 2019 წლის 20 აგვისტოს.

2019 წლის 20 აგვისტოს საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და საქმის მასალების და კანონიერ ძალაში შესული 2019 წლის 13 მარტის განჩინების მისთვის გადაცემა ითხოვა. საქმე -- სააპელაციო სასამართლოდან -- საქალაქო სასამართლოში დაბრუნდა 2019 წლის 19 სექტემბერს. -- -- საქმის მასალების ასლები გადაეცა 2019 წლის 19 სექტემბერს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 15 ნოემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 14 აგვისტოს №144 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად კი უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური

და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

საქმის განხილვის ვადა თუ იქნება არაგონივრულად ხანგრძლივი, უფლების დაცვა გაჭიანურდება და დაკარგავს ეფექტიანობას. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[2]

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (Hornsby *v. Greece*, §40). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას (Diennet v. France, § 33; Martinie v. France [GC], § 39).

ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის, სასამართლოს პროცესის სრულყოფილად და კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურებით წარმართვის ან/და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ პირმა სრულყოფილად ისარგებლოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერ ინტერესებს.[3]

ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულების შესაძლებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებასაც. გასაჩივრების უფლების რეალიზებისთვის აუცილებელია მხარეს ჩაბარდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება/განჩინება, რათა დაიცვას კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 388-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების (განჩინების) ძალაში შესვლის შემდეგ საქმე ახლად შემოსულ მასალასა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან (განჩინებასთან) გადაეგზავნება პირველი ინსტანციის სასამართლოს.

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის 2/5/879 გადაწყვეტილება ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლომ კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება მიიღო 2019 წლის 17 ივლისს. მხარემ სასამართლოს განჩინების ჩაბარების მოთხოვნით მიმართა 2019 წლის 8 აგვისტოს. -- -- აღნიშნული განჩინება გაეგზავნა 2019 წლის 14 აგვისტოს, განჩინების მიღებიდან 26-ე დღეს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კერძო საჩივრის თაობაზე მიღებული განჩინების მხარეთათვის გაგზავნის ვადას, ამდენად, აღნიშნული ვადა უნდა იყო გონივრული და არ უნდა იწვევდეს მხარის უფლების შეზღუდვას. მოცემულ შემთხვევაში განჩინების მხარისთვის მიღებიდან 26-ე დღეს გაგზავნა არ შეიძლება მივიჩნიოთ არაგონივრულად ხანგრძლივ ვადად.

ასევე აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოდან საქმის მასალების დაბრუნების შემდეგ, საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში შევიდა 2019 წლის 19 სექტემბერს, დასაბუთებული განჩინების მომზადებიდან დაახლოებით 1 თვის ვადაში. საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს ზუსტ დროს, რომლის განმავლობაშიც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვალდებულია დააბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა აღნიშნული შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ გონივრული ვადის სტანდარტი. მოცემულ შემთხვევაში საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაახლოებით 1 თვის ვადაში დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს არაგონივრულ ვადად. ამდენად, მოსამართლის ქმედებაში არ იკვეთება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის ბრალეული დარღვევის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №144/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი